



№ 10 (1404) მაისი 1973

სიენა

გამოცემის 50-ე წელი ფასი 20 კპ.

ო.ტ.

— ახალგაზრდებო, თქვენ ხომ ამას წინათ იქორწინეთ?!
— მართალი ბრძანდებით, მაგრამ ის ფესხაცმელები უკვე დაგვხსნა და მაღაზია „საბედნიეროში“ თქვენი საქორწინო ტალღის გარეშე ფესხაცმელს არ გვაქლავენ!



— გონი, წაიყვანეს ის ხულიგანი და აწი შეიძლება გამოეპირათ!

ავგიას თავლა

მეფე ავგიას თავლა არ იწმინდებოდა 30 წლის განმავლობაში.

გარკნული მითოლოგიიდან

ავგიას თავლა ხმაშატის ფერმის თავლასთან რას მოვა! სამი წლის ნაყარ ნაკელში ქვაც კი ნაყოფად ამოვა.

სოფლის თავს ჯაჯანძისა რა უნდა ჰკადრო სახელად, როცა უყურებ დიდებულ მის ნამოღვაწარ-ნახელავს? —

ეზოში ჰყრია ნავავი, გიკვირს, რა ძალით შეზიდეს! შავი ზვინების სიმაღლე შურს ყველა ნაცად მეზვინეს.

ზოგან ჭაობი ბუყბუყებს, ფსკერს ვერ უპოვი ჯოხითაც, თუ არ გინახავთ, მობრძანდით, იხილეთ „ძველი კოლხიდა“!

ზოგან იმგვარად შეზრდია „ტექნიკა“ მიწას, ძარღვიანს, გეოლოგებმა თუ ნახეს, უმალ ქაბურღილს გათხრიან.

შესვლას პირუტყვის სადგომში არ გირჩევთ, პირებს გარემუს, თუ არ დაიშლით, ნუ შეხვალთ აირწინალის გარეშე!

თორემ ისეთ სუნს შეივრძნობთ, ყელიდან სული ამოვა... ამ სიბინძურის თავლასთან ავგიას თავლა რას მოვა?!

თუმცა, რა დასამალია, სხვა ქონდა თავჯაცს სათქმელი, ავგიასავით მრავალ წელს სურდა დაეცვა ნაკელი.

აღარ დასცალდა, ამოი იყო ოცნება ვაჟკაცის, ნავავთან ერთად გაპავეს სოფლის უთავო თავკაცი.

გაიოჯ შავგარჯაშვილი

ქიათურის რაიონი

ქართვლში რომის ტრადიციულ ოლიმპიურ ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად ემზადებოდნენ.

ირიჭრაჟა... ტახტრევანზე წამომჯდარმა მეფემ კვერთხი ზეცისკენ აღმართა. და მოედანზე გამოჩნდნენ სრულად საქართველოს სხვადასხვა სამთავროებიდან საასპარეზოდ ჩამოსული სახელგანთქმული ფალავნები — მოჭიდავეები, ფეხბურთელები, თარჯმრბენები, სიგრძეზე და ჭოკით მსტომელები, ლელობურთელები, კალაბურთელები, ფრენბურთელები, ფიგურული მოციგურავენი, ჰოკეისტები, მოკრივეები, ბადმინტონისტები, პინგ-პონგისტები, აფროსნები, მშვილდოსნები, ნიჩბოსნები, შუბისა და ბადროს მტყორცნელები, მოჯირითეები...

რომის ოლიმპიადისთვის შესარჩევ უძლიერეს ფალავანთა თვალწარმატება ასპარეზობაში სამ დღეს გასტანა. მეფემ, გამარჯვებულ სპორტსმენთა პატივსაცემად, ლუხუმის სასახლეში დარბაზობა გამართა. ნადიმზე არც ერთი სპორტსმენი არ გაეგარა ღვინოს, რითაც ფალავანთუხუცესის ქება დაიმსახურეს.

მანდატურთუხუცესმა, მეფის ბრძანებით, ასპარეზობაში გამარჯვებულ სპორტსმენებს საპატიო ფირმანები გადასცა და ჩემპიონებს იბერიის სახალხო ფალავნის წოდება უწყალობა. მეჯინებთუხუცესმა კი, მეფის დასტურით, ზოგი სპორტსმენი თეთრი ცხენით დაასაჩუქრა, ზოგს სამთახიანი იზოლირებული ბინა და საკარმიდამო ნაკვეთი უბოძა, ზოგი მათგანი გელათისა და იყალთოს აკადემიებში უგამოცდოდ ჩაარიცხვინა და ჩახრუხადის სახელობის სტიპენდიები დაუნიშნა.

მეორე დღეს კათალიკოსმა და ფალავანთუხუცესმა 27 სპორტულ სახეობაში გამარჯვებული ქართველი სპორტსმენებიდან მხოლოდ 9 — ყველაზე უფრო პოპულარული სახეობა — შეარჩიეს და ქართველ უძლიერეს ჰოკეისტებს, მოკრივეებს, პინგ-პონგისტებს, ბადმინტონისტებს, აფროსნებს, ნიჩბოსნებს, მოჯირითეებს, ჭოკით მსტომელებსა და ფიგურულ მოციგურავეებს რომისკენ მიმავალი გზა დაულოცეს. საქვეყნოდ ცნობილმა ამირსპასალარმა, 400 რჩეული რაინდითა და ამდენივე ამორძალით, ქართველი სპორტსმენები სიმღერითა და ბუკ-ნადართ ბათუმამდე მიაცილა. იმავე დღეს, ბათუმში, საგანგებოდ მომზადებულმა სწრაფმავალმა სამაფრიანმა სომალდმა გეზი რომისკენ აიღო, მაგრამ მოხდა ენით აუწერელი უბედურება: გზაში საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, ქარიშხალს ტაიფუნი დაემატა, სამაფრიანი სომალდი კლდეს შეასკდა და ზღვის ბოზოქარ ტალღებში შთაინთქა...

იბერია გლოვამ მოიცვა, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა მწუხარება: სხვადასხვა ქვეყნიდან სასიხარულო ცნობები მოვიდა — რომში საასპარეზოდ მიმავალი იბერიელი სპორტსმენები, ღვთის წყალობით, გადარჩენილიყვნენ! ზღვის ტალღებს ქართველი ჰოკეისტები კანადაში გაერიყა, მოკრივეები — ამერიკაში, სოლო პინგ-პონგისტები — იაპონიაში. დანარჩენი სპორტსმენების ბედი, ჯერჯერობით, ცნობილი არ არის. ბევრისმთქმელი და ყურადსადებია ის ფაქტიც, რომ ერთ-ერთ კანადელ ჰოკეისტს, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში ასპარეზობისას ყინულზე დაენარცხა, თურმე, მამელუკივით „ვაი ნენა“ აღმოხდა.

სადა ხართ, ქართველო ჰოკეისტებო, მოკრივეებო, პინგ-პონგისტებო, სიგრძეზე და ჭოკით მსტომელებო, მოტოციკლისტებო, ბადმინტონისტებო, მოჯირითეებო, ფიგურულ მოციგურავეებო და ორწყვილიანი კანჯოიანი ნავის კუნთმაგარო მონიჩბეებო! სადა ხართ?! ხმა ამოიღეთ! დიდი ხანია, სამშობლო გელით!..

თენგიზ პირველი

კელის გაზეთი რა ქენა

ქვეა სასვენი
ნიშნავერთივენი
გიგლითქვე

მატულის საპენტი ფაბრიკაში ახალი დირექტორი დანიშნეს, იგი პროფესიით ფილოლოგი იყო და, რატომღაც, პირველ რიგში კელის გაზეთის რედკოლეგიის მუშაობით დაინტერესდა.

— მე გადავავალე მთელი წლის ნომრები და არც ერთი კრიტიკული წერილი! ნუთუ ასე საათივით მუშაობდით? ასეც რომ იყოს, — დამრიგებლურად უთხრა მან რედკოლეგიის წევრებს, — კრიტიკა და თვითკრიტიკა ყველა კოლექტივშია საჭირო. ხვალვე გაზეთში კრიტიკული წერილი ჩასვით! — დაამთავრა დირექტორმა და მთქნარებით წამოიდა.

რედკოლეგიის წევრები, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ, სათათბიროდ დარჩნენ.

— ვისზე დავწეროთ? — წარბები ჩამოჰყარა რედაქტორმა.

— დავწეროთ საამქროს უფროსზე, მან, ამას წინათ, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ორ მოწინავე მუშას, რომლებიც გეგმებს 139,9 პროცენტით ასრულებენ, — გამოსავალი იპოვა მზა პროდუქციის საწყობის გამგემ.

— საამქროს უფროსზე? მაგრამ იგი გუშინ დირექტორის კაბინეტიდან გაღიშებული გამოვიდა, — დაეჭვდა რედაქტორი.

— იქნება, შე კაცო, სიმწროთ იღიმებოდა, ყველაფერია მოსალოდნელი, — თავისაზე იღვა საწყობის გამგე.

— არა, არა, კარი რომ გააღო, უკვე გაღიშებული იყო, ხელებიც უკან ჰქონდა შემოწყობილი.

— ხელები უკან ჰქონდა შემოწყობილი? თან იღიმებოდა? ზუსტად გახსოვს?

— ჰო, ლიღინებდა კიდევ. ეტყობა, დირექტორთან ძმაცუარადა.

— საამქროს უფროსი გამორიცხულია, — თქვა რედაქტორმა და თავი მაგიდაზე ჩამოდა.

სიტყვა კადრების განყოფილების გამგემ აიღო:

— ბრიგადირი?

— რა ბრიგადირი? — სიხარულისაგან შეჰყვირეს რედკოლეგიის წევრებმა.

— იგი ამ დილით გაღვიწილი მთვრალი მოვიდა და მთელი ერთი საათი დირექტორის მდივანს ებღლაძუნებოდა.

— რას ეუბნებოდა, თუ გახსოვს? — ჩაეკითხა რედაქტორი.

— არაფერს, ჩქმეტდა და აწვალბდა, გოგო კი სირცხვილისაგან იწვოდა, მაგრამ რა ექნა.

— გასაგებია, — ამოიხვნეშა რედაქტორმა, — ბრიგადირი დირექტორის ახლობელია, სწვანაირად ვერ გაბედავდა მდივანთან ღლაბუცს.

რედკოლეგიის წევრებმა ერთმანეთს გადახედეს და თავები ჩაქინდრეს.

— მოითმინეთ, ამხანაგებო! — სახე გაუნათდა კადრების განყოფილების გამგეს. — საპენტი საამქროს მუშამ, ბზიკაძემ, წასულ კვირას 3 წუთით რომ დააგვიანა, გახსოვთ? ახლავე გამოვაცხოვებ მაგ უსინდისოზე კრიტიკულ წერილს.

რედაქტორმა სიხარულის მოზღვავებული გრძნობა ვერ დაიოკა და კადრების განყოფილების გამგე მკერდში ჩაიკრა.

— დირექტორმა თუ იცის? — დაეჭვდა საწყობის გამგე.

— იცის, დაიბარა კიდევ და, ალბათ, საკადრისად გაჯორა.

— მე კი მგონი, დაუყვავა, რადგან ბზიკაძე ახლაც ყოველდღე აგვიანებს.

— ახლაც აგვიანებს? — სკამიდან წამოხტა რედაქტორი, — ახლაც აგვიანებს? ჰმ!

რედკოლეგიის წევრები უკვე ხმამაღლა მოთქვამდნენ.

ისევ საწყობის გამგემ იმარჯვა და იმ ღამესვე გააშანშალა წერილი. დამლაგებელზე დაწერა, რომ იგი უბასუხისმგებლოდ ეკიდება საქმეს, დირექტორის კაბინეტში, მაგალითად, მან სამუშაო მაგიდაზე დადგა წყლით სავსე გრაფინი (ამისათვის კი არსებობს სპეციალური მაგიდა) და თავისი უმსგავსო საქციელთ ხელი შეუშალა წარმოების პირველი კვარტალის ვალდებულების შესრულებას. დამლაგებლის მოქმედება იმსახურებს უმკაცრეს სისჯულს...

მეორე დღეს დამლაგებელი სამსახურში არ მოსულა, არც მესამე დღეს მოვიდა, აღარც მომდევნო დღეებში და დირექტორის ოთახი სანაგვე ყუთს დაემსგავსა.

ივერი ტაბიძე

მე ვადიდებ სასვენ ნიშნებს ვიცი მათი ფასი წერტილიდან წერტილამდე ძლივს მიმქონდა აზრი

არასოდეს არ ვკარგავდი მძიმების იმედს და ბოროტად არასოდეს ვიყენებდი მძიმეს

ზოგჯერ როცა სიტყვის შემდეგ ვერ დავწერდი წერტილს და ვერც მძიმეს ვერ დავწერდი წერტილ მძიმეს ვწერდი

ბევრჯერ ტყეში გზადაბნულს ვგავდი მონადირეს მაგრამ მუდამ ფონს გაყავადი დეფისსა და ტირეს

ხშირად როცა არ მწყალობდა შთაგონების ღმერთი ბეწვზე გადავურჩენივარ ერთგულ მრავალწერტილს

ხელი ნელა გაგწაფე და ნელა ვავარჯიშე არ ვწყალობდი კითხვის ნიშნებს და ძახილის ნიშნებს

არც ცალ ცალკე და არც ერთად ერთმანეთის გვერდით ორ წერტილსაც არ ვწყალობდი იშვიათად ვწერდი


იშვიათად ვაწუნებდი ფრჩხილებსა და წინწყლებს დრამატურგს და პროზაიკოსს გამოადგეთ იქნებ

მე ვადიდებ სასვენ ნიშნებს ვიცი მათი ფასი წერტილიდან წერტილამდე ისევ მიმაქვს აზრი

სასვენ ნიშნებს ახლა ყველა ყურადღებას აქცევს ზოგი კარგად ზოგი ცუდად ზოგი სულაც არ წერს

მე კი ისევ ერთგული ვარ ძველი მონაპოვრის სიტყვებს ვეძებ რომ ჩავწერო სასვენ ნიშნებს შორის

ვახტანგ ჯაფარიძე



კრიტიკა ზემოლან

კრიტიკა ქვემოლან

ღა თვითკრიტიკა

ეჭვი

- ძალიან მერიდებია, რომ ვითხრა...
- თქვი! ჩვენ ხომ ერთმანეთს არაფერს ვუმა-
ლავეთ?!
- შენი ცოლი მასთან დავინახე!
- იქნებ, შემთხვევით შეხვდა?
- არა, ისინი თურმე ყოველდღე ერთად არიან!
- თუ ძმა ხარ, არ გამაგიჟო!
- დიახ, შესვენებაზე ერთად გამოდიან, ერთად
სადილობენ და, როგორც ამბობენ, ძალიან უყვართ
ერთმანეთი!
- ნუთუ, ეს მართალია?
- სამწუხაროდ, ეს ასეა!
- ლამის ჭკუიდან შევირყე!
- წარმოიდგინე, როცა სოფელში იყავი, სტუმ-
რდაც კი ყოფილა მასთან და... ღამე გაუთევია!
- ეს უკვე მეტისმეტია!
- მოკლედ, შენი ცოლი ძალიან დაუახლოვდა..
შენს საყვარელს!

ვანო ცინცაძე

ნახ. ზ. ლომიძისა



— თოვოილე, გასახე შენი ელექტროენერგია და გასახ-
ხებ ცხელ წყალს!

— გულქანა! გამოიხედე გარეთ! ურალიდან გამოგზავნილი შენი
მაზლის წერილი მოგიტანე!.. — დაუძახა გულქანას მისმა მეზობელმა
მა და მესაიდუმლე თამარმა.

გულქანამ კარი გამოაღო, წერილის დანახვაზე გააჭრჭოლა, კონ-
ვერტი სწრაფად გამოართვა, მისამართს დახედა და...

— გამისკდა გული!.. ისევ გამოძიებლის უწყება მეგონა! —
თქვა, კონვერტი გახსნა და, თამარის გასაგონად, დაიწყო კითხვა:
„ბონდო! მე რომ ინჟინრის დიპლომი მივიღე და ურალის
მადნეულძიების გეოლოგიურ სამმართველოში გამამწყსეს სამუ-
შაოდ, შენ მაშინ რვა წლის ბავშვი იყავი. მას შემდეგ დიდმა
დრომ განვლო. შენ ცხოვრების შენთვის სასურველი გზა აირჩიე და
ვაჭრობის დარგის მრავალრიცხოვანი კოლექტივის წევრი ხარ. მე
შენს პროფესიას აუგად არ ვიხსენიებ, მაგრამ ხალხს ნდობა არ უნ-
და გაუცრუო! სადაც უნდა მოღვაწეობდე, ნამუსის ქუდი გაუხუნებ-
ლად უნდა ატარო!

ბონდო, მამაჩემის გარდაცვალების დეპეშა რომ გამომიგზავნე,
იმ დროს ექსპედიციაში ვიყავი, დეპეშა დაგვიანებით მივიღე და
დაკრძალვაზე ვეღარ ჩამოვედი. სამაგიეროდ, თადარიგი ორმოცის-
თვის დავიჭირე და გვახელით კიდევაც. ერთი ურალელი რუსი ამ-
ხანაგი, ვიქტორი, დამემგზავრა, წყალტუბოში მოდიოდა დასასვენე-
ბლად. ქუთაისში რომ ჩამოვედით, ორი დღით სახლში მივიპატიჟე.
დამეთანხმა და მანქანით ჩვენი სოფლისკენ გამოეწიეთ. სახლში მი-
სვლამდე, სოფლის სასაფლაოსთან გამოვიარეთ, და, აბა, გული რო-
გორ მომიტყუნდა, რომ მამის საფლავთან არ მივსულიყავი? მანქანა
გავაჩერე, გადმოვედი და სასაფლაოს ჭიშკარში შევედი. მოვიხედე,
გვერდით ვიქტორიც მომყვებოდა. გეზი ჩვენი საგვარეულო სამარხი-
საკენ ავიღე. მივუახლოვდი და, რას ვხედავ: ერთ საფლავზე ძველია
აღმართული! ვიფიქრე, ვისია ეს ძველი-მეთქი? ამ დროს ვიქტორი
მეკითხება:

- თქვენს სოფელში გამოჩენილი რევოლუციონერი ცხოვრობდა?
- არა-მეთქი, ვუპასუხე.
- გამოჩენილი მეცნიერი? — მეკითხება ისევ.
- მასეთი არაფერია.
- გენერალი ან მარშალი?
- არა, არა!
- მაშ, ვის დაუდგეს ასეთი ძველი, არ იცი?

ამ კითხვაზე ვერაფერი ვუპასუხე. ამ დროს მივუახლოვდით
ძველსაც.

შავი მარმარილოს ქვაზე, ოქროს ასოებით მოვარაყებულ წარ-
წერას მივაპყარი მზერა: „მამულან ბიორბის ძე უდიმირიძე“. ქვემოთ
კი, ვიდაცის მიერ, ცარციტ იყო მიწერილი: „მეწიქვილე ყაფლანი“,
„მესაზანდრე ყაფლანი“, „მათხოვარი ყაფლანი“. ის ვიდაც მარმარი-
ლოს ქვასაც არ დასჯერებოდა, წინა მხრიდან მასზე ბრტყელი სიბი
ქვა მიეყუდებინა და მიეწერა: „ქურდის მამა ყაფლანი“.

ვიქტორი კიდევ მეკითხება, მაინც ვერ გაიგე, ვისია ეს ძველიო?
— მამაჩემის ყოფილა! — თავდახრილმა ვუპასუხე.

ვიქტორმა ჩემგან მიახლოებით იცოდა მამაჩემის ბიოგრაფია.
იცოდა, რომ იგი ერთი უწიგნური, პატიოსანი კოლმეურნე და სოფ-
ლის მეწისქვილე იყო.

ვიქტორმა თავი უხერხულად იგრძნო და უსიტყვო მზერა მთის
მწვერვალებისაკენ გადაიტანა.

მე კი ვიდექი მამაჩემის სახელით მონათლული, მამაჩემისადმი
მიუმსგავსებელი ძველის წინ და ვფიქრობდი: რა დაგიშავა მამამ
ისეთი, რომ სიცოცხლეში მისგან განუყოფელ ტოლ-სწორებს მოაშო-
რე, დაუდგი დაუმსახურებელი ძველი, რომელსაც ქვეყნის სამასხრო
მინაწერებით ავსებენ?

ამ საკითხზე საუბარი მე შენთან სახლში მოსვლისთანავე მინ-
დოდა, მაგრამ ვერ მოვახერხე... თანაც ნასვამი იყავი, შენი ძმაკაცე-
ბი ერთი წუთითაც არ გცილდებოდნენ, ისე მოგმართავდნენ „ყაფ-
ლანიჩო“, თითქოს ყაფლანი მართლ შენი საკუთარი მამა ყოფილი-
ყოს!“

გულქანამ წერილის კითხვა შეწყვიტა, ცოტა შეყოვნდა და დაა-
ყოლა: — ჩემმა ყოფილმა მაზლმა ჯერაც არ იცის, რომ მისი ძმა
დაპატიმრებულია.

— როგორ თუ ყოფილმა მაზლმა? — გაკვირვებით შევეკითხა
თამარი.

— როგორ და, ბონდოს, სახელმწიფო ქონების დიდი რაოდენო-
ბით გაფლანგვისთვის, თხუთმეტწლიანი მუხლი აქვს მიყენებული.
თხუთმეტ წელიწადს ხომ არ დაველოდები? ვთხოვდები, ამ მანათს
ქორწილი მაქვს. მზითვად ჩემი წილი ქონება, შემნახველ სალაროში
შენახული მთელი თანხა და ავტომანქანა „ვოლგა“ მიმაქვს.

...სანამ გულქანა და თამარი საუბარს დაამთავრებდნენ, საგამომ-
ძიებლო ორგანოს წარმომადგენლები მოვიდნენ, ბონდო უდიერიძის
ქონება აღწერეს და ყადაღა დაადეს.

ქონებაზე ყადაღის დადებამ კი გულქანას ქორწილის გაურკვევე-
ლი ვადით გადაწვევა გამოიწვია.

7
1973

ნახ. გ. ლომიძისა

ჩე-363



ვეტნამიდან წასული დაახლოებით 50 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი ტაილანდის ტერიტორიაზე იმყოფება.

გაზეთებიდან

პენტაგონის ტაილანდი

